ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 135

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ. და 1680 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (ს/კ: №01.14.06.006.091; №01.14.06.006.092) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტების და მე-5 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ. და 1680 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (ს/კ: №01.14.06.006.091; №01.14.06.006.092) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 21 მაისის №19.554.747 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.06.006.091) და 1680 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.06.006.092) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 62 000 (სამოცდაორი ათასი) ლარის ოდენობით, პრივატიზებაზე, შპს „ელიტ ინვესტის" (ს/კ 405012837) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე, „დოსააფის" შენობის მიმდებარედ არსებული 1819 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების (ს/კ: №01.14.07.011.001) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე